# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 118 — კვირა, 31 მაისი 1909 წ. — № 118

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი ხტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


## ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

„დროების" კანტორა წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს: ვისაც მარტო ხუთი მანეთი აქვს შემოტანილი, პირველ ივნისისთვის მან ორი მანეთიც უნდა შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი მოესპობა.

---

ორშაბათს, 1 ივნისს, ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს მიწის მზომლის

## თავ. ივანე გიორგის ძის სიდამონოვ-ერისთავის

გარდაცვალების წლის თავზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა (დასაწყისი დილის 10 საათზე) და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი ელისაბედ ბართლომეს ასული და და განსვენებულისა ელისაბედ გიორგის ასული ანდრონიკაშვილისა. (1—276—1)

---

სამშაბათს, 2 ივნისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

## დავით ბესარიონის ძის ლოლობერიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი მისი მარიამ მიხეილის ასული ლოლობერიძისა და ძმა ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე. დასაწყისი წირვისა 10 საათზე, პანაშვიდისა 12 საათზე. (2—277—1)

---

სოფიო, მალაქია, ალექსანდრე, ვლადიმერ, სონა, მარიამ და ნინა თურმანიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლის, მეორენი—საყვარელ მამის, ხოლო მესამენი—დაუვიწყარი მამამთილის

## მაქსიმე დიმიტრის ძის თურმანიძისას.

დაკრძალვა სამშაბათს, 2 ივნისს, ხდფ. ხაშურში (მიხაილოვო). (1—278—1)

---

მღვდელი ნიკოლოზ ანტონის ძე და ელისაბედ ანტონის ასული ჯავახიშვილნი უღრმეს მადლობას სწირავენ ყველა იმათ, ვინც წერილით, დეპეშით ან პირადად გაიზიარა მათი მწუხარება დაუვიწყარ ძმის

## ლუკა ჯავახიშვილის

გარდაცვალების გამო. (1—6.—1)


—◀ კვირას 31 მაისს, 1909 წელს ▶—

## მუშტაიდში

ქართველ ქალთა სახელოსნო-სკოლის სასარგებლოდ გაიმართება

## დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით

ალეგრაში ჩაიგდება ხელ-საქმე მოსწავლეთა: ნაკერი მუთაქები, ბალიშები, სუფრები, სალფეთქები, კაბები ბავშვებისა და დიდებისა, ნაკერი საცვლები და მრავალი სხვა ნივთი.

■ პროჟექტორი ■

დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ორკესტრი, ხორო ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით და ტიროლელთა გუნდი, დუდუკი.

სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე.

შესასვლელი ბილეთი ბაღში და პროჟექტორზე 25 კ., ბავშვებისთვის—15 კ. ალეგრის ბილეთი—25 კ. (3—3

---

## გახსნა საზაფხულო თეატრისა და ბაღისა.

კვირას, 31 მაისს, 1909 წ. თავად-აზნაურთა საზაფხულო თეატრში და ბაღში ქართ. დრამ. საზოგად. სასარგებლოდ გაიმართება წარმოდგენა და დიდი სეირნობა.

წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია

## დედის ერთა

1 მოქმედებად გ. გუნიასი.

ზოგადოება იხსდება ორ მხარეს — საზაფხულო და საზამთრო თეატრესამი, ხოლო წარმოდგენა გაიმართება შუა სცენაზე. წარმოდგენის შემდეგ სინემატოგრაფი, ნაციონალური ცეკვა, მუსიკოსების გუნდი ა. კავსაძის ხელმძღვანელობით, გურულთა ხორო და ორ სართულიანი ფერხული. სხვა და სხვა თამაშობა საჩუქრებით. ბაღი მორთული იქნება ბაირაღებითა და განათებული ელექტრონით. კიოსკები, კონფეტი, სერპანტინი და სხვ

დუდუკი, მესტვირე, სალამური და საზანდარი, საღამოს წესრიგი პროგრამაში იქნება.

ადგილების ფასი 2 მ.-დან 75 კ.-მდე.

დასაწყისი სეირნობისა საღამოს 6 საათზედ. წარმოდგენისა—9 საათზე.

ბაღში შესვლა—30 კ. მოწაფეთათვის—20 კ. ვინც წარმოდგენის ბილეთს იყიდის ბაღში უფასოდ შევა. დრ. საზო ადგების ადმინისტრაცია.

---

## ФЕЛЬДШЕРСКАЯ ШКОЛА

### Д-ра Г. Л. РОГИНСКАГО

въ Москвѣ, Маросейка, Косма-Даміанскій пер., д. Конкина. Телефонъ 210-62.

Открытъ пріемъ прошеній на 1909/10 учебн. годъ. Условія высылаются и выдаются.

(Метцль и К.—166766) (4—მეტ.—2)

---

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. მუხხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

სალამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—72)

---

ექიმი

## ა. ნ. დიასამიძე

გადავიდა ახალ სადგომში მოსკოვის ქუჩა, № 4, გაბაშვილის სახლი.

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2¼—3½ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოჟოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. 10½—11½ ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 11½—12½ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პიგარსკი —კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—49)

---

## ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—157)

---

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 75)

---

## ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. გრიბოედოვის ქუჩა, N 11. (75—90)

---

## „ტფილისის სობრანიე"

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებს, კანდიდატებს და მათ ოჯახებს, რომ 31 მაისს 1909 წელს «ტფილისის სობრანიე» გადადის

ახალ საზაფხულო სადგომში

(მიხეილის პროსპექტი, ბაღი მაიერისა).

გადასვლის დროს ნაშუადღევის 3 საათზე გაიმართება საერთო სადილი. სადილზე დაუკრავს; სიმებიანი ორკესტრი, საზანდარი და დუდუკი.

იწვევენ: წევრებს, კანდიდატებს, მათ ოჯახებს და სტუმრებს საზოგადო წესით.

სადილის ფასი (უღვინოთ) კაცის თავზე 1 მ. 50 კ.

მსურველნი წინდაწინვე უნდა ჩაეწერნენ «სობრანიის» შვეიცართან. (2—281—2)

---

## ბაღი—რესტორანი

## ამხ—ბის „იუქანე"-ში

სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. დაუკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელსასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია. (10—გაჟ.—5)

---

## ჭიათურა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრად ჩაწერა და საწევრო გადასახადის სამი მანეთის წარდგენა შეიძლება განყოფილების გამგეობის წევრ-ხაზინადარ ირაკლი დეკანოზიშვილთან. (10—6)

---

## სოფ. ქვიშხეთში

ქირავდება

## აგარაკი ჩიტაძისა

აგარაკი ახალია და შეიცავს ხუთ მშვენიერ ოთახს, სალ ადგილზეა. აგარაკი ქირავდება ძალიან იაფად.

მსურველმა უნდა მიმართოს პ. სურგულაძეს, ქართულ გიმნაზიაში, ვერაზე. (5—2)

---

## დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—5)


სამშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 8 საათზე ტფ. თავად-აზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს სადგომში მოხდება საზოგადო კრება

## „ახალი კლუბის"

წევრებისა. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. ახალ წევრთა მიღება.
2. კლუბის ბინის შესახებ და
3. არჩევნები ახალ საბჭოს წევრებისა, მათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

თუ წევრთა კანონიერი რიცხვი არ დაესწრო, კრება გადაიდება 9 ივნისისათვის, რომელიც ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. (3—ნ.—2)


## ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

აქიმებს ყოველ ნაირ ჭლექით ავადმყოფებს ხორცსა და კან შუა შესახსამ წამლით ტუბერკულინით.

ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (12—ნ.—9)

---

იბეჭდება და მალე დაურიგდება ხელის მომწერლებს

## დუტუ მეგრელის ნაწერების

## პირველი წიგნი—ლექსები,

რომელშიაც მოთავსებული იქნება 200-ზე მეტი ლექსი და სამი პოემა.

ხელის მოწერა, როგორც ამ წიგნზე, ისე დუტუ მეგრელის მოთხრობებზე კვლავ მიიღება ამ ივნისის 25-მდის; შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება ხელის მოწერით ორივე წიგნი ეღირება ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი შესამჩნევად იქნება გადიდებული.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: წ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიაში, მაღაზია „ახალ სიტყვაში" („Новая рѣчь"), „დროების" რედაქციაში და ქუთაისში ბ-ნთ თომა მთავრიშვილის და ის. კვიცარიძის წიგნის მაღაზიებში. პროვინციიდან ხელის მომწერთა სია და ფული უნდა გამოგზავნონ „დროების" რედაქციაში, საიდანაც მსურველთ შეუძლიათ დაიბარონ აგრეთვე ხელმოსაწერი საკვიტანციო წიგნაკები. (6—1)


## ტფილისი, 31 მაისი

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ორ-სამ კვირაში სახელ. სათათბირო უფრო გარკვეულსა და გაბედულს საკონსტიტუციო პოლიტიკას დაადგა, ვიდრე მთელ სესიის განმავლობაში. მემარჯვენენი პარლამენტში, „მაღალი სფერები" და სინოდი პარლამენტს გარედ დიდის ენერგიით ამხედრდნენ სათათბიროს უფლების შესაზღუდავად, მაგრამ უმრავლესობა ამ ხანად არ შეუშინდა რეაქციონერთა იერიშს და არჩეული პოზიცია დაიცვა. კანონი სტაროობრიადცების შესახებ, კანონები სინიდისის თავისუფლების შესახებ მიღებულ იქმნა, მიუხედავად ათასგვარ მუქარისა და სხვა და სხვა „უპასუხისმგებლო გავლენისა".

ამის წინად ვწერდით აგრეთვე მემარჯვენეთა განზრახვაზე ძირითად კანონების ახალ დარღვევის შესახებ: უნდოდათ საარჩევნო კანონი შეეცვალათ ჩრდილოეთ-დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის 9 გუბერნიისათვის, რათა პოლონელებისათვის ადგილები წაერთვათ სახ. საბჭოში. ამ განზრახვასაც მტრულად მიეგება სათათბირო და ამის ზედ-გავლენით თვით სახ. საბჭოს კომისიამ უარ-ჰყო მემარჯვენეთა გეგმა მიუხედავად იმისა, რომ მაღალ წრეებშიაც კმაყოფილებით მიეგებნენ ახალ ძალმომრეობის განზრახვას. იყო კიდევ რამდენიმე წვრილმანი საკითხი, სადაც სათათბირო ჩვეულებრივად არ შეუშინდა მძვინვარე რეაქციას, როგორც, მაგალითად, შეკითხვა ჭეშმარიტ-რუსთა კავშირის შესახებ. თუმცა ეს შეკითხვა დიდად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მთავრობას, რადგან მთავარი აზრი შეკითხვისა მთავრობის და ამ ბოროტ კავშირის ურთიერთობის გამოაშკარავებას შეეხება, მაგრამ სათათბირომ იგი მაინც შეიწყნარა და კომისიას გადასცა გამოსარკვევად...

ამ ფაქტების გაზვიადება და მათის მნიშვნელობის გადაფასება არ შეიძლება, მაგრამ სრულიად უყურადღებოდ მათი დატოვებაც არ ვარგა, რადგან უმნიშვნელოდ ვერ ჩაითვლიან იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს ძველსა და ახალს შორის. რომ ეს ასეა, ცხადად მოწმობს ის განგაში, რომელიც რეაქციონერთა ბანაკში ასტეხეს. იქ კვლავ დაიწყეს პირდაპირი ლაპარაკი „პერევოროტის" საჭიროებაზე და „მაღალ სფერებს" აქეზებენ მოურიდებლადა და ენერგიულად, სხვა და სხვა გზასაც უჩვენებენ „მდგომარეობის გამოსარკვევად". გაიხსენეს თავ. მეშჩერსკის აზრი იმის შესახებ, რომ მონარქს მიენიჭოს უფლება საკანონმდებლო პალატების უმცირესობის აზრის დამტკიცებისა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოს შესახებ ძველ რეჟიმის დროს; გაიხსენეს პლანი სათათბიროს საკანონმდებლო უფლების წართმევის შესახებ და სხვა. „ნოვ. ვრ." და თითქმის „როსსია"-ც —სტოლიპინის ეს აშკარა და ფარული ოფიციოზები—წინასწარმეტყველობენ კიდეც, რომ „სათათბიროს მცირედი ალაგმვა მოსალოდნელიაო", ხოლო ჭეშმარიტ რუსთა გაზეთები პირდაპირ ამბობენ, ასეთი ალაგმვა უკვე გადაწყვეტილია „მაღალ სფერებში" და გეგმაც შემუშავებულიაო. „რუსკოე ზნ." ირწმუნება, მაგალითად, რომ სათათბიროს საზაფხულო ვაკაციების დროს მთავრობა ისარგებლებს შემთხვევით და ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით შესცვლის სათათბიროს გარდაწყვეტილებებს საზღვაო შტაბის შესახებაც, სინიდისის თავისუფლების კანონების შესახებაცაო და, გარდა ამისა, შესცვლის საარჩევნო კანონებს ჩრდილო და სამხრეთ დასავლეთის გუბერნიებისთვისაო; შემდეგ ამისა შეუდგება თვით პრინციპიალურ საკითხის გამორკვევას, თუ როგორ შეიზღუდოს სათათბიროს საკანონმდებლო უფლებაო. მაგრამ რადგან ზოგ ამ ნაბიჯის წინააღმდეგი თვით სტოლიპინი იქნება, ამიტომ უპირველეს ყოვლისა „სფერებს" განზრახვა აქვთ ეს დაბრკოლება მოიშორონ თავიდან...

როგორც ჰხედავთ, ახლაც, როგორც წინად, სესიის უკანასკნელ დღეებში „მდგომარეობა მწვავდება" და იწყება ჭეშმარიტ რუსული „აქსიონ დირექტ"-ი სათათბიროს და კონსტიტუციის წინააღმდეგ. განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ შარშან ზაფხულს და წელს საშობაო ვაკაციების დროს რეაქციას იმდენი საბუთი არ ჰქონია სათათბიროს ურჩობის დასამტკიცებლად, რამდენიც ახლა აქვს. მაშინ სათათბიროს არ ჩაუდენია ისეთი რამ, რასაც „სფერების" მყუდროება არაჩვეულებრივად დაერღვია და საგანგებო გულისყურომა გამოიწვია; ახლა კი საზღვაო შტაბის კრედიტის საკითხი, სინიდისის თავისუფლების კანონები და ჩრდილოეთ-დასავლეთის გუბერნიების საარჩევნო უფლების შეცვლის საქმე საკმაო მასალას აძლევენ ხელში კამარილიას, მართლა სცადოს ბედი და განიზრახოს სანატრელ „პერევოროტის" მოხდენა...

როგორც არა ერთხელ გვითქვამს, რუსეთი არაფერს წააგებს ამით: ბევრად უმჯობესია, მდგომარეობა ძირითადად გამოირკვეს, ვიდრე დღევანდელი „არც აქეთი, არც იქეთი" დარჩეს. ცხადია, ოქტომბრისტების ხელმძღვანელობა გამარჯვებას ვერ არგუნებს ახალს რეჟიმს, რუსეთის განახლების საქმეს; ხოლო საზოგადოებრივ ძალთა ახალ განწყობილების გამოსაწვევადა და დასაჩქარებლად, რაც უფრო მალე მივა რეაქცია თავის ლოღიკურ დასკვნამდე, ის ემჯობინება...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ტიფ. ლისტოკი" თავის გასამართლებლად, ჩვენი წერილის გამო, იმოწმებს თავის ოცდა ხუთი წლის არსებობას. ოცდა ხუთი წლის განმავლობაში ვმოღვაწეობო, ბრძანებს გაზეთი. ვინც „ტიფ. ლისტ."-ს იცნობს, ის კარგად ჰხედავს, ვისთვისაც მოღვაწეობს იგი—საზოგადოების საკეთილდღეოდ, თუ ხაჩატუროვების ჯიბის გასასქელებლად. ამიტომ ეს მოწმობა ვერაფერი საბუთია კაი-კაცობისა.

* *

თითქმის ყველა ტრამვაი რუსეთის ქალაქებში ბელგიელთა ხელშია. სხვათა შორის, როგორც ვიცით, ტფ. ტრამვაიც ბელგიელებს ეკუთვნის. არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენს, რა ცუდად არის მოწყობილი ტრამვაების საქმე. გადაათვალიერეთ ადგილობრივი ან რუსეთის ქალაქების გაზეთები და გაჰკვირდებით, რამდენს სწერენ ეს გაზეთები ტრამვაის მოუწყობლობაზე. რედაქციის მიმართ წერილებს ხომ საზღვარი არა აქვს, ხალხი სწუხს, იტანჯება, მაგრამ ტრამვაის პატრონნი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამას. ხშირად მგზავრები ტრამვაის მოსამსახურეებზე ყრილობენ ჯავრს და ყოველგვარ უწესოების და მოუწყობლობის ბრალს მათა სდებენ ხოლმე, რაც უსამართლოა.

ტფილისში ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ ტრამვაიზე. უსახელო საზოგადოებამ ყველას ყურები გამოუჭედა—ზარალი მაქვსო. ამას ხელზე იხვევს. მუშებს ჯამაგირებს უმცირებს და არც ქალაქთან დადებულ ხელშეკრულებას ასრულებს. საქმე-კი, როგორც „გოლოს მოსკვი" გადმოგვცემს, სულ სხვანაირად ყოფილა.

მთელი რუსეთის ტრამვაების საქმე დამოკიდებულია უცხოეთ წოდებულ ემპენის ტრესტისაგან. ამ ტრესტსა ჰყავს რამდენიმე ინჟინერი და აგენტი, რომელნიც იმის მეტს არას აკეთებენ, რომ რუსეთში კონცესიებს იღებენ ტრამვაების გასაყვანად. ტრამვაების საქმეს დღეს ორი-სამი ჯგუფი სწყვეტავს. ერთ ჯგუფს ეკუთვნის ტრამვაები კიევისა, ოდესისა და სარატოვისა, მეორეს ხარკოვისა, ორიოლისა, ტფილისისა, ვიტებსკისა, მესამეს ყაზანისა და კურსკისა.

ეს ჯგუფები, გაზეთის სიტყვით, სრულიადაც არა ზრუნავენ საქმის გაუმჯობესობაზე. მათი თვალი მხოლოდ ბირჟისკენ არის მიპყრობილი, ამიტომ ტრამვაების ფასიანი ქაღალდები კარგა ხანია აჟიოტაჟის საგნად გადაიქცა. ჯგუფები ყოველგვარ საქმეს ბელგიაში სწყვეტავენ, ისინი არ შედიან ქალაქების მცხოვრებთა მდგომარეობაში და არავითარ ინიციატივის ნებას არ აძლევენ ტრამვაების ადგილობრივ გამგეობას. ამის და მრავალ სხვა მიზეზის ბრალიაო, დასძენს გაზეთი, რომ რუსეთის ქალაქები დატანჯულნი არიან ტრამვაებისაგან. ტრამვაების საქმე საძაგლადაა მოწყობილი არა მარტო

ისეთ პატარა ქალაქებში, როგორნიც არიან ვიტებსკი და კურსკი, არამედ ისეთ ცენტრებშიც, როგორიც ოდესაა, როსტოვი, ტფილისი და ხარკოვი.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სხვა და სხვა კანონ-პროექტი.**

მგონი არც ერთ სხდომაზე სახელმწიფო სათათბიროს იმდენი კანონ-პროექტი არ მიუღია, რამდენიც 29 მაისის სხდომაზე მიიღო. ორმოცამდე კანონ-პროექტი შეიწყნარა სათათბირომ. ეტყობა, დეპუტატები ეჩქარებიან საზაფხულოდ დასვენებას და გასეირნებას და ეშურებიან კანონ-პროექტების თავიდან მოშორებას.

ამ დღეს სათათბირომ საბოლოოდ მიიღო შესწორებული ბიუჯეტი. შემოსავალი ნაანგარიშევია 2,941,148,978, მან. ხარჯიც ამდენი.

შემდეგ სათათბირომ განიხილა თვით დეპუტატების მიერ აღძრული პროექტები ამა თუ იმ კანონის გამოცემის შესახებ. ერთი პროექტი შეეხებოდა სათათბიროს საარჩევნო დებულების პირველ მუხლის შეცვლას, მეორე—მომხმარებელ საზოგადოებათა დაწესებას ქარხნებთან, მესამე—დედაკაცისა და მამაკაცის გათანასწორებას მემკვიდრეობის საქმეში, მეოთხე—ბალტიის ოთხ საშუალო სასწავლებელში, სადაც გერმანელები სწავლობენ, ხუთ გასათავებელ ეგზამენის გერმანულ ენაზე დაჭერას.

დანარჩენი წვრილმანი კანონ-პროექტები იყო.

სხვათა შორის ამ დღეს სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტი ტფილისის პოლიციის შტატის გაძლიერების შესახებ. ეს კანონ-პროექტი სათათბირომ სასწრაფოდ იცნო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 მაისი

## ო ს მ ა ლ ე თ ი

**სალონიკი.** თუმცა ჯევათ-ფაშას მთავრობისაგან ბრძანება მოუვიდა, დაბრუნდეს, მაგრამ იგი მაინც, თავის თაოსნობით, 26 მაისს დიაკოვის ოლქის შუაგულისკენ გაემგზავრა. ჯევად-ფაშას თან ახლავს ორი ბატალიონი და რამდენიმე ზარბაზანი.

ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის სიტყვით, ლიბერალების ცნობილ მეთაურს იზმაილ-ქემალს, რომელიც ეხლა იტალიაში სცხოვრობს, არგირო-კასტროს გზით სამხრეთ ალბანიაში უნდა შესვლა.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** მომრიგებელმა კომისიამ შაჰს დასამტკიცებლად წარუდგინა საარჩევნო კანონი, რომლითაც პროვინციის მცხოვრებთ უფლება აქვთ დეპუტატად ისეთი პირები აირჩიონ, რომელნიც ამ პროვინციაში არა სცხოვრობენ. ამ კანონით კომიტეტს სურს მეჯლისში წინანდელი დეპუტატები გაიყვანოს და ამ რიგად აღადგინოს სანიუდლოვლეს პარტია. კომიტეტმა უარი განაცხადა, ეხლავე ვერ შევადგენ სენატის საარჩევნო კანონსო. კომიტეტი თხოულობს, სანამ სენატის წევრთა არჩევნები მოხდებოდეს, მეჯლისი იქნას მოწვეული. ამაში კომიტეტს არ ეთანხმება მინისტრთა თავმჯდომარე. მინისტრი თხოულობს, რომ მეჯლისის და სენატის არჩევნები ერთ დროულად მოხდეს და პროვინციებმა დეპუტატებად ისეთი პირები აირჩიონ, რომელნიც მუდამ პროვინციაში სცხოვრობენ.

ბრუნდება ის ჯარები, რომელიც თავრიზის ასაღებად იყო გაგზავნილი.

## საზღვარ-გარეთ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: რადგან მეშედში რაღაც მიზეზით არეულობა მოხდა, 26 მაისს რევოლიუციონერთა კომიტეტის გავლენიანმა წრეებმა მიმართეს მუშტეიდ აფიდმაჰმედს, დაარიგე ხალხი, მშვიდობიანობას ნუ არღვევს და უცხოელებს ხელს ნუ ახლებსო.

**თეირანი.** მეშედიდან იტყობინებიან: აქ დიდი არეულობა მოხდა. მიზეზი ის არის, რომ ფიდაებმა მოჰკლეს პოლიცმეისტერი. ქალაქში ყაჩაღობენ ტუჯხედდინები. ეშინიანთ, რომ მოჰკლან გენერალ-გუბერნატორი რუკნუდ-დოულე, რომელიც მეშედში მოდის.

**მესსინა.** 28 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე მიწა იძრა. დაინგრა რამდენიმე დაზიანებული სახლი. ხალხი ძალიან შეშინებულია. ბარაკებიდან გაიქცნენ.

**ალჟირი.** ინგლისის გემმა „ისტგეტმა" კაპიტან ბრაუნის მეთაურობით გადაარჩინა გერმანულ გემის „ევას" მოსამსახურენი. „ევას" ცეცხლი ეკიდა. „ევა" ჰამბურგიდან ვლადივოსტოკში მიდიოდა. „ევა" აფეთქდა. გემი „ისტგეტი" 28 მაისს მოვიდა აქ.

**ლონდონი.** პალატამ მიიღო ბიუჯეტი. მუშათა პარტიამ ბიუჯეტს მისცა ხმა.

**პარიზი.** პოლიციამ გაჩხრიკა 23 ანარქისტ-კომუნისტი. ამათ აბრალებენ ისეთ ორგანიზაციის დაარსებას, რომელსაც აზრადა აქვს გააფუჭოს ტელეგრაფის მავთულები და ბოძები. 5 ანარქისტს უპოვნეს მიწერ-მოწერა.

## რ უ ს ე თ ი

**პულტუსკი.** ს. ვიშკოვიდან პულტუსკში მიდიოდა საქონლის ექვსი ვაჭარი. ღამე ტყეში მათ თავს დაესხნენ მცარცველნი, შეჰკრეს ვაჭრები და 225 მან წაართვეს. ამავე დროს მგზავრებმა ვექილს კენიგს და სტუდენტს დ უწყეს სროლა, მაგრამ ესენი უვნებლად გადარჩნენ. ორი საეჭვო პირი დაიჭირეს.

**ბერდიანსკი.** ს. ნოვოპავლოვსკში ორმა ბოროტ-გამზრახველმა მოჰკლა ურიადნიკი და დასჭრა ერთი ინგუში; მასვე ცხენი მოუკლეს.

**ნოვოჩერკასკი.** ს. იურევში გასაცარცვად ამოხოცეს ხუთი სულისგან შემდგარი ოჯახი. მკვლელები დაიჭირეს, რომელთაც აღმოაჩნდათ 550 მან.

**კერჩი.** გრადონაჩალნიკმა სამი მოსამსახურე მაძებარ განყოფილებისა დაითხოვა სამსახურიდან უზრდელობისათვის.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ, ნაფიც მსაჯულთა დაუსწრებლად, გაარჩია საქმე. შინაგან მინისტრის ნაამხანაგარი გურკო უჩიოდა გაზ. „რუსის" რედაქტორს კრამალევს და თანამშრომელს იზნარს წერილის „по слѣдамъ" დაბეჭდვისთვის. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ გამოძიებულს საბუთებში არის გურკოს წერილი პეტერბურგის გრადონაჩალნიკთან, რომელსაც გურკო სთხოვდა ნება მიეცა ლიდვალისთვის გაეღო სათამაშო სახლი. წერილში ისიც იყო ნათქვამი, რომ იმ 800,000 მ რომელიც ლიდვალს მიეცა ავანსად, ნაწილი გურკომ მიიღო. სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა სამ სამ თვით დაპატიმრება და დაადგინა, განაჩენი დაბეჭდოს გაზ. პეტერბურგის და მოსკოვის უწყებებში დამნაშავეთა ხარჯზე. ამ საქმის მოწმებად იყვნენ ტაინი სოვეტნიკი გოლუბევი და სენატორი ვარვარინი, რომელთაც უჩვენეს, რომ გამოძიების საქმეში არაფერი ზევით ნათქვამის მგზავსი წერილი არ მოიპოვებოდაო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო, ფინლიანდიის სეიმის სხდომები გადაიდოს 1 ივლისიდან 15 სექტემბრამდე, სეიმის უქვეშევრდომილეს მოხსენების თანახმად.

ხელმწიფე იმპერატორმა, ფინლიანდიის საიმპერატორო სენატის უქვეშევრდომილეს მოხსენების თანახმად, კეთილ ინება და ნება დართო, რომ უმაღლესად დანიშნულ კომისიის წევრებად ჩაირიცხნენ: მთავარეპისკოპოსი გუსტავ. და იოგანსონი, ყოფილი სენატორი ნიუბერგი, დამსახურებული პროფესორი გერმანსონი, იმპერატორ ალექსანდრეს უნივერსიტეტის პროფესორი ბარონი პალმენი და სეტალია. ამ კომისიას დავალებული აქვს შეიმუშაოს პროექტი იმისა, თუ რა წესით უნდა გამოიცეს ხოლმე ფინლიანდიის შესახებ ისეთი კანონები, რომელთაც მნიშვნელობა მთელ სახელმწიფოსთვის აქვთ.

ქალაქში დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ჰელსინგფორსი.** ფინლიანდიის სეიმი დღემდე საორგანიზაციო მუშაობაში იყო: ირჩევდა კომისიებს და სხვა. პარტიებმა შეიტანეს პროექტები უქვეშევრდომილეს ადრესისა. ის ადრესი შეეხება 20 მაისის კანონით შემოღებულ იმ წესების შეცვლას, რომლითაც საქმეების მოხსენება სწარმოებს. ადრესის პროექტები კომისიას გადაეცა.

# სომეხთა კათალიკოსი ხელმწიფესთან

(პეტ. დეპ. სააგ.)

**პეტერბურგი.** პეტერჰოფის დიდ სასახლეში ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო სრულიად სომეხთა პატრიარქი და კათალიკოსი. სასახლეში მისვლისას კათალიკოსს წინ უძღოდა ორი შიკრიკი, ორი კოფფურიერი და კამერფურიერი, აგრეთვე კათალიკოსის მცველნი და ორი არქიმანდრიტი, რომელთაც საპატრიარქო ნიშნები მიჰქონდათ. ამ წესით კათალიკოსი შეიყვანეს სასახლის დარბაზში. ნაშუადღევის 2$^1/_2$ საათზე ობერ-ცერემონიმეისტერმა გენდრიკოვმა კათალიკოსი თარჯიმნის თანხლებით შეიყვანა სასტუმრო ოთახში, სადაც ხელმწიფე-იმპერატორი იმყოფებოდა. მისმა უდიდებულესობამ შემდეგის სიტყვებით მიჰმართა კათალიკოსს:

„მოხარული ვარ, რომ ვხედავ თქვენს უწმინდესობას რუსეთის სახელმწიფოს საზღვართა შორის იმ დროს, როცა თქვენ უნდა შეუდგეთ ახალ მოვალეობის ასრულებას. ჩემ წინაპართა მსგავსად, მუდამ კეთილის მსურველი ჩემ სომეხ ქვეშევრდომთა და თქვენდამი რწმუნებულ სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიისა, არ ვეჭვობ, რომ თქვენ მომავალ მოღვაწეობის ასპარეზზე ყოველ ღონეს იხმართ თქვენ სამწყსოში ჭეშმარიტად ქრისტიანულ სარწმუნოების გასამტკიცებლად. ამასთან დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, როგორც ერთგული შვილი თქვენის ახალ სამშობლოსი, რომელიც გულწრფელად გეგებებათ, აღუძრავთ თქვენ სამწყსოს მშვიდობიან, ზნეობრივ ცხოვრების და კანონიერ მთავრობის მორჩილების სურვილს. ეზრუნავ რა ქრისტიანე ეკკლესიის საფუძველზე ახალგაზრდობის განათლებისათვის, მოველი თქვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას თქვენდამი რწმუნებულ სასულიერო სასწავლებლების განკარგების საქმეში კანონიერ საფუძველზე, იმ განზრახვით, რათა მოსწავლეთ ჩაუნერგოთ ერთგულება და სიყვარული ჩვენი საერთო სამშობლოს, რუსეთის სახელმწიფოსი. ჩემმა თქვენ მიმართ ნდობამ, რომლის ძალით ეჩმიაძინის პატრიარქად და სომეხთა ერის კათალიკოსად დაგამტკიცეთ, ძალა შეგმატოსთ თქვენ რთულ და პასუხ-საგებ მსახურების დროს".

აუდიენციის შემდეგ ობერ-ცერემონიმეისტერმა გრაფმა გენდრიკოვმა კადსცა ეჩმიაძინის პატრიარქს კათალიკოსად დამტკიცების ქაღალდი და ბრილიანტის ჯვარი. შემდეგ კათალიკოსსა და სომეხთა სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებს თეთრ სასტუმროში ჩაი მიართვეს.

# ბ-ნ ი. ჯავახიშვილის ლექცია

(დასასრული *)

როგორც ყველგან, სამართალი ეხებოდა ჩვენში სოციალურ ცხოვრების ყველა დარგის მოწეს-რიგებას, განსაკუთრებით ადამიანთა ყოფა-ქცევისას და ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებისას, სახელმწიფო და საადმინისტრაციო გამგეობას, აგრეთვე იმ მარტივსა და რთულ განწყობილებებს, რომელნიც არსებობენ მცხოვრებთა და წოდებათა შორის ყოველ დღიურ, მშვიდობიან, ოჯახურ და საზოგადო შრომის ცხოვრებაში. ამიტომაც სამართალი განიყოფებოდა სამ დარგად: „სისხლი", „პატიჲი", „სასაქმო". იმის და მიხედვით კი, თუ სახელდობრ რომელ კერძო სოციალურ ორგანიზმს შეეხებოდა სამართლის ნორმები, სამართალიც იყო სახელმწიფო, საეკლესიო, საერთაშორისო და სხვ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით მთელი ლექციის შინაარსის მოთხრობასა. იგი ძლიერ ვრცელი და სპეციალურია. ავტორმა ეს ლექცია ძლიერ შეამოკლა, თორემ უკვე დაწერილი მისი წიგნი ქართულ სამართლის შესახებ შეიცავს სამასზე მეტ გვერდს.

აღვნიშნავთ მხოლოდ ყველაზე უფრო საგულისხმიერო საგნებს:

როგორც ყველგან, ჩვენშიაც მუშაობდა ორი სამართალი: 1) კონვენციონალური ნორმები და 2) ნამდვილი, ძალ-დატანებითი სამართალი. მათ შორის განსხვავება იყო და საკულმდებელნიც ყურადღებას აქცევდნენ „ჩვეულებისა" და [illegible] არსებულ [illegible].

მეფის [illegible] არასოდეს [illegible] პოტისა და თვით-მპყრობელისა. იგი არა მარტო ფეოდალების მხრით იყო შეზღუდული, რაიც მავნებელიც იყო საქართველოსათვის, არამედ ყველა წოდებისაგან, რომელთაც უნდოდათ მიეღოთ მონაწილეობა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში, და ამ ნიადაგზე ბრძოლაც კი გაჩაღდა თამარ-მეფის დროს პარლამენტარიზმის რაღაც მსგავსის შემოღებისათვის. მეფის საკუთრებას არასოდეს არ წარმოადგენდა მთელი სამეფო, არამედ მას ჰქონდა მამული საკუთარი. მეფისა და მემკვიდრეობის უფლება სრულიად განსაზღვრული იყო, აგრეთვე უფლება ხელის-უფალთა და წოდებათა.

საეკლესიო წყობილება უფრო რომისას მიაგავდა, ვიდრე ბიზანტიისას: წოდებათა და აგრეთვე ეკლესიის განწყობილება სახელმწიფოსთან განსაზღვრული იყო. მეფობას ძლიერ უბრძოლია, სანამ გარკვეული დამოუკიდებლობა არ დაუმკვიდრებია სამღვდელოებასთან და სხვა წოდებასთან. სამართალი აგრეთვე გარკვეულ სასჯელს აძებდა მათ, ვინც დაარღვევდა ამ გარკვეულ განწყობილებათა ნორმებს.

საქართველოში ერთ-ცოლიანობა ყოფილა უძველეს დროიდან და ქორწინების გარკვეული წესებიც. წაგვრით ცოლის შერთვა, წინააღმდეგ ნიკო ურბნელის აზრისა, არა თუ კულტურულად უფრო დაწინაურებულ ბარში, მთაშიაც არა ყოფილა.

საკუთრება, მზითევი, მამულ-დედული, მემკვიდრეობა სრულიად მოწესრიგების კალაპოტში ყოფილა ჩამდგარი. ქალებსაც ჰქონიათ უფლება მამულის დამკვიდრებისა. აგრეთვე ვალი, სყიდვა-გასყიდვა და სხვა ამგვარი რამ სამოქალაქო სამართლის ნორმებით სწორედ ყოფილა მოწეს-რიგებული.

სისხლის სამართალი ძლიერ განვითარებული ყოფილა. განსაზღვრული ყოფილა საგანი შეცოდებისა, სცოდნიათ კვალიფიკაცია დანაშაულისა, სცოდნიათ დროისა და ადგილის მიხედვით გარჩევა დანაშაულის სიმძიმისა, აგრეთვე განზრახვის ვითარების მიხედვითა, და ამგვარადა სწყვეტდნენ თვით „მისაგებელსა", სასჯელსა.

სამართლის გაჩენაც, თუ კი ასეთი რთული იურიდიული ნორმები გვქონდა, უხეშად და ტლანქად რასაკვირველია, არ იქნებოდა ნაწარმოები. სამართლის გადაწყვეტაში ყველა წოდება იღებდა მონაწილეობას. სოფელში გლეხი, ქალაქში ვაჭარი, აგრეთვე არსებობდა საეკლესიო და სააზნაურო სასამართლოები. იყო აგრეთვე შეერთებული სასამართლო—საერო-საეკლესიო, უმაღლესი სასამართლო და უზენაესი სასამართლო მეფის დარ-

*) იხ. „დროება", N 117.

# აღმოსავლეთის მუსიკა

**სპარსული, სომხური, ქართული სიმღერები.*)**

არსენ კორემჩენკოსი.

(შემდეგი *)

3.

მებაიათეთა შორის ბევრი მოიპოვება სომეხი, რომელთაც მშვენივრად აქვსთ შეთვისებული სპარსული სიმღერები და განსაკუთრებით ბაიაჲი.

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რასაკვირველია, რომ ხალხს, რომელსაც მოკლე დროის განმავლობაში—მაინც უცხოვრია დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებით, სრულიად არა ჰქონდეს ხალხური, მელოდიური სიმდიდრე, ე. ი. მუსიკა, რომელიც განსაზღვრულს ერს ეკუთვნის, რომელშიაც არ არის შერეული უცხო ელემენტები და რომელიც მხოლოდ და მარტო ჩაითვლება ხალხურ მუსიკად. მაგრამ საუბედუროდ სომხებს ეს სიმდიდრე ერთხელ და სამუდამოდ დაეკარგათ. მისგან დღეს ნატამალიც აღარ დარჩა, და თუ რამ დარჩა, ისიც ისეთნაირად შეიცვალა სპარსულისა, ქართულისა და მალოროსსიულის (ნახიჩევანი) მუსიკის ზედგავლენით, რომ ყოვლად შეუძლებელია დღეს სომხური სიმღერები ორგინალურად დავსახოთ.

რაც დღეს სომხურის სახელით არის მონათლული, არაფერი არ ეკუთვნის სომხებს. იგი ნასესხებია ისტორიის ჟამთა ვითარებაში იმ ხალხებისაგან, რომლებთანაც სომხებს კავშირი ჰქონდათ. სომხებზე უცხოელების გავლენა ისეთი გამუდმებული იყო, რომ მათ ისტორიულ ცხოვრებაში ცოტათი მაინც ხანგრძლივ დამოუკიდებლობას ვერა ვხედავთ. ძლიერ ცოტა ხნის განმავლობაში იყო სომხეთი ერთ სახელმწიფოდ, ერთ მეფობის მქონე. საზოგადოდ მათი პოლიტიკური ბედი ასეთი იყო: არაბებმა დაიპყრეს უმეტესი ნაწილი სომხეთისა და დაჰყვეს იგი (855 წ. ხალიფ მოტევექილის დროს), შემდეგ იგი დაიპყრეს სელჯუკებმა, ბოლოს კი რუსებმა, სპარსელებმა და ოსმალებმა დაინაწილეს. დღეს სამხრეთ-აღმოსავლეთი სომხეთი ($^1/_6$) ეკუთვნის სპარსეთს, დასავლეთი ნაწილი ($^2/_3$) ეკუთვნის ოსმალეთს და დანარჩენი კი—რუსეთს.

ასეთი დაყოფაა იმისი მიზეზი, რომ სომხურ მუსიკაში ვერ ვამჩნევთ ერთ რომელსამე გავლენასა, როგორც, მაგალითად, არაბულში, რომელმაც ჯერ ეგვიპტის მუსიკის გავლენა განიცადა, მერე სპარსულისა, რომელმაც თავის მხრით ეგვიპტური სრულიად მოსპო. ბოლოს კი არაბული და სპარსული მუსიკა შეერთდა, და მე-8 საუკუნიდან ერთ განუყოფელ მუსიკას წარმოადგენდა ყოველთვის.

სომხურმა მუსიკამ უფრო რთული გავლენა განიცადა უცხოელებისა. სპარსეთში სომხებმა გადიღეს სპარსული მუსიკა, ოსმალეთში ოსმალური, რომელიც სპარსულს ძლიერა ჰგავს და განირჩევა მისგან მხოლოდ გაძლიერებულის სეკუნდისა და გადაჭარბებული ქვარტის უფრო ხშირი ხმარებითა; რუსეთის სამფლობელოში კი სომხებმა გადიღეს ქართული მუსიკა და ნაწილად მალოროსსიული. მალოროსსიული გავლენა ემჩნევა იმ სომხურ სიმღერებს, რომელსაც სამხრეთ რუსეთში მღერიან. აქ სომხები დაესახლნენ ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში, როდესაც სელჯუკების სულთანმა დაანგრია დიდი სომხეთის სატახტო ქალაქი; შემდეგ აგრეთვე პეტრე დიდის დროსა, რომელიც მათ მფარველობას უწევდა.

ჩემს აზრს ამტკიცებს მთელი ის მასალა სომხურ მუსიკისა, რომელიც შეკრებილია სხვა და სხვა ავტორისაგან—მათ შორის ბევრ სომხისაგან (მაგ. ტიგრანოვი), და თვით ჩემგან. ამ მასალაში უპირველეს ყოვლისა შევნიშნავთ ისლამიტების მელიზმიურ კაზმულობასა, ვნებიანს რითმსა, თავისებურს ხრომატიზმს, მელოდიურ ჰანგების უცნაურს თანდათანობასა, აგრეთვე გაძლიერებულ სეკუნდისა და გადაჭარბებულ ქვარტის ხშირ ხმარებას და სხ., ერთის სიტყვით ყველაფერს, რაც შეადგენს სპარსულისა და მის გავლენის ქვეშ მყოფ მუსიკის, მაგალითად, ოსმალური მუსიკის კუთვნილებასა.

საკმარისია მოვიგონოთ მოსკოვის ეთნოგრაფიულ კონცერტში ამ რამდენიმე წლის წინად ნამღერი „კრუნკ" (წერო), რომელიც ნამდვილი სომხური ეროვნული მელოდია ეგონათ, რომ ეხლა დავრწმუნდით, რომ ეს მელოდია შეიძლება ჩაითვალოს როგორც სომხურად, ისე და იმავე უფლებით სპარსულადაც, (იხ. „ეთნოგრაფიული კონცერტი", გვ. 70,).

თუ კი რაცა ვთქვით, იმას ქვემო ნათქვამს მიუმატებთ, მაშინ ეჭვს გარეშე იქნება, რომ სომხებმა მთელი თავიანთი ვოკალური სიმდიდრე ისესხეს იმ ხალხთაგან, ვისაც ეხლა ეკუთვნის უდიდესი ნაწილი მათის ქვეყნისა: 1. ერთხმოვანება სიმღერისა, რომელიც განარჩევს ისლამიტებისა და ქრისტიან ხალხთა მუსიკას, შერჩათ სომხებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქრისტიანები არიან. სომხები ყოველთვის ან სოლოსა მღერიან, ან ერთხმად. 2. თვით წესი და კილო სიმღერისა სომხებს პირდაპირ გადმოუღიათ სპარსელებისა და ოსმალებისაგან.

სომხურ მუსიკის შეკრებილ მასალაში აგრეთვე მეორე რამესა ვხედავთ: ეს ის სიმღერებია, რომლებსაც მღერიან რუსეთის სამფლობელოში და რომლებიც გადმოღებულია ქართულ და მალოროსსიულ მელოდიათაგან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სომხების მიერ ასრულების დროს ამ სიმღერებს ეძლევა უფრო სპარსული კილო, ვიდრე ქართული ან მალოროსსიული.

ჩემ მიერ ჩაწერილ სომხურ სიმღერათაგან მე რამდენიმე შემეძლო მომეყვანა, რომელშიაც უეჭველადა სჩანს ქართული ან ქართულ-მალოროსსიული გავლენა.

ამ გვარად, უცხოეთის გავლენა სომხურ მუსიკაზედ, სხვა და ადგილის მიხედვით, ისეთი ძლიერია რომ, მას სრულიად დაუკარგავს, საუბედუროდ, თავისი საკუთარი ფიზიონომია, რომელიც ალბად ოდესმე ჰქონდა. აქ მე მაგონდება ფრიად საინტერესო და საყურადღებო ფაქტი, რომელიც საგულისხმიეროა განსაკუთრებით მათთვის, ვინც იწყებს რომელიმე ხალხურ მუსიკის შესწავლას: ერთხელ მოსკოვში სომხურ საღამოსათვის მასალას ვკრეფდი და ჩავსწერე რამდენიმე სიმღერა ისეთ პირთა თქმით, რომელნიც იყვნენ ცნობილნი, როგორც „ადგილობრივნი მცოდნენი". ამ სიმღერებში შემხვდა ერთი, მშვენიერი და გულ-წარმტაცი. ცოტა ეჭვი შემეპარა იმის შესახებ: იგი რაღაც მშობლიურს*) მაგონებდა, ნაცნობსა. ამ სიმღერას სომხურად „ძმერნ ანცავ" (გაზაფხული მოვიდა) ჰქვიან. და როდესაც ყურადღებით განვიხილე მისი მელოდია, მალოროსსიული გავლენა დავინახე. მაშინვე გამოვთქვი ეჭვი ამ სიმღერის სინამდვილის შესახებ, მაგრამ მოინდომეს ჩემი გადარწმუნება. ამ გადარწმუნებასაც უნაყოფოდ არ ჩაუვლია, რადგან ჩქარის ტემპით მიმავალი მეორე ნაწილი სიმღერისა არ იყო მოკლებული თავისებურობასა.

ამ სიმღერის ჩაწერის რამდენიმე ხნის შემდეგ შემხვდა ჩვენი საუკეთესო მცოდნე აღმოსავლეთისა პრ. თ. ე. კორში, რომელსაც ძლიერ ეინტერესებოდა ჩემ მიერ ჩაწერილ სიმღერათა მოსმენა. მას თავიდანვე არა სწამდა რა სომხურ ხალხურ მუსიკისა, ეჭვის თვალით უყურებდა მას, და როდესაც ზემოხსენებული სიმღერა მოისმინა, მაშინვე შენიშნა მისი მალოროსსიულ-ქართული წარმოშობა, ცოტა ოსმალურ კილოზე შეზავებული, რაიცა სრულიად სწორად ჰყოფდა სიმღერას ორ ნაწილად. და მართლაც, როდესაც შემდეგ ქართული სიმღერები უფრო კარგად შევისწავლე, დავრწმუნდი რომ თ. ე. კორში მართალი იყო.

ეს ფაქტი მით არის შესანიშნავი რომ ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რამდენად სახიფათო და პასუხის მგებელია როლი სიმღერათა ჩამწერისა, რომელიც ხშირად ერთს მეორედ ასაღებს. არ შემიძლიან არ მოვიგონო ის შეცდომა, რომლის მსხვერპლიც ერთხელ მეც შევიქენი: არა თუ მცოდნეს, არამედ უბრალო რამის გამგონესაც აღმოსავლეთის ცხოვრების შესახებ დამცინავი ღიმილი გაურბენს, როდესაც ნახავს ჩემ მიერ უკვე დაბეჭდილ „სომხურ სუიტებსა", სადაც მე ბოლოში „ლეკური" მოვათავსე, თითქოს რაიმე საერთო იყოს „ლეკურსა" და სომხებს შორის. მაგრამ ეს უბედურობა მარტო მე კი არ დამმართნია, არამედ რუსულ მუსიკის თვით მამასაც—მ. ი. გლინკას; ცნობილი ხორო ქალწულთა ნაინის სასახლეში—„მინდორს ღამის წყვდიადი გადაეფარა" (იხილე ოპერა „რუსლანი და ლიუდმილა") დასწერა ავტორმა, როგორც თვითონ ამბობს თავის წერილებში, სპარსულ მელოდიაზედ, რომელიც მას მიაწოდეს. ნამდვილად კი ეს მელოდია ქართული სიმღერაა.

არსენ კორეშჩენკო.

(შემდეგი იქნება)

(* იხ. „დროება", N 117.

*) კორემჩენკო თვით მალოროსსია (მთარგმნელი).

ბაზსა. ყველა ამ სასამართლოებს ჰქონდათ თავიანთი ფუნქციები. იყო აგრეთვე ინსტანციები; მომჩივანი ერთ სასამართლოს განაჩენით არ კმაყოფილდებოდა და მეორეში გადაჰქონდა აპელაცია.

გასამართლებასაც თავისი პროცედურა ჰქონდა. უმოწმოდ ადამიანის განსჯა არ შეიძლებოდა. სამი მოწამე მაინც უნდა ყოფილიყო. შემდეგ მოწმეთა მოსმენისა და ბჭობისა გადასწყვეტდენ ხოლმე საქმეს. სასჯელი არ იყო მაინცა და მაინც ჰუმანიური, თუმცა მაშინდელ დროის ევროპაში არსებულ სასჯელთან შედარებით უფრო ადამიანურიც იყო. წამების საბუთები სასჯელის გადაწყვეტამდის ლექტორს არ მოუყვანია. საკვირველია აგრეთვე, რომ არც ინკვიზიციის მსგავსი რამ აღმოუჩენია ლექტორს. ამას გარდა, ძვირი იყო სიკვდილით დასჯა. მხოლოდ მძიმე დანაშაულთათვის იყო სიკვდილით დასჯა. მეფეს ჰქონდა უფლება აგრეთვე სასჯელის პატიებისა. თამარ მეფის დროს კი ისეთ ნაირად წაიწია წინ ქართულ სამართლის ჰუმანიურმა თვისებამ, რომ სიკვდილით დასჯა თითქმის სრულიად მოისპო. ამ მხრით დიდი პროგრესსი ეტყობა ქართულ სამართალს მეცხრედან მეთორმეტე საუკუნემდე.

მხოლოდ მანღოლთა შემოსევამ დააქვეითა როგორც საერთოდ ქართული კულტურა, ისე კერძოდ ქართული სამართალი. ერთი შემდეგი მემატიანე კიდეც ამართლებს მანღოლთა სამართალს და ამბობს, მანღოლთა წესი კაცის მოკვლისა განუკითხავად დანაშაულზედ მისწრების დროს—იდეალია მართლმსაჯულებისაო.

სადა იყო მეთორმეტე საუკუნის დროის ადამიანური სამართალი, როდესაც სიკვდილით დასჯას ერიდებოდა ქართველის იურიდიული შეგნება...

ბევრი ილაპარაკა ლექტორმა ქართულ სამართლის ყველა დარგზე. მხოლოდ საერთაშორისო სამართალს არ შეეხო, საუბედუროდ, დროის უქონლობის გამო. ეს სამართალი ყველაზე უფრო საინტერესოა, რადგან იგი დღესაც არ არის სრულად შემუშავებული თვით უუკულტუროსნებს ქვეყნებშიაც, და საინტერესოა, როგორი იყო საერთაშორისო სამართლის შეგნება ძველ ქართველთა შორის.

სხვისი რა მოგახსენოთ და ახალგაზრდები კი ძლიერ კმაყოფილი დავრჩით ამ ლექციებითა. წიგნი რომ გამოიცემოდეს კი,—ეს ხომ პირდაპირ მანანა იქნება ჩვენთვის: ნამდვილია, რომ ეხლა ახალგაზრდობას სწყურია სამშობლო კულტურის წარსულისა და აწმყოს შესწავლა. არის, საბედნიეროდ, ამის სიმპტომები.

არც ისეა გაწყვეტილი ყოველივე ბუნებრივი კავშირი ჩვენს ძველსა და ახალს შორის, და ვინ იცის, რა არის მოსალოდნელი ჩვენს ცხოვრებაში? იქნებ ქართულმა კულტურამ კიდევ იწყოს სრულიად დამოუკიდებელი განვითარება. და მაშინ, როდესაც იძულებული ვიქნებით ამ განახლების დასაწყისში მუშაობა დავიწყოთ წმინდა ქართულ ნიადაგზე,—მაშინ არ გვინდა ცოდნა ჩვენი წარსულისა, განსაკუთრებით წარსულ სამართლისა? ვინ იცის, ხალხის გულის როგორ ჯურღმულშია კიდევ შენახული და ნაცარ-წაყრილი ძველი სამართლის შეგნება, და როდესაც იგი გაღვივდება ხელ-ახლა,—ჩვენ უცხო სამართლის ნორმებით უნდა მოვაწესრიგოთ მათი ცხოვრება?..

ჩვენის ფიქრით, ჩვენი ხალხის წარსულ სოციალურ ცხოვრების შესწავლა სხვასთან ყოველისფერთან ერთად მომავალში პრაქტიკულ მუშაობისათვისაც სასარგებლო იქნება. მხოლოდ მოსწავლენი ცოტანი არიან, აგრეთვე მასწავლებელნი. მსურველნიც კი იმდენი არაა, რამდენიც უნდა იყოს, რომ ჩვენ საზოგადოებას ცოტაოდენი შეგნება ჰქონდეს.

ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი ერთი ამ მასწავლებელთაგანია, და ვმადლობთ ყველანი გულწრფელად ძვირფასს მასწავლებელს, რომ ასეთი სრული სურათი წარმოგვიდგინა თვალ-წინ საქართველოს იურიდიულ ცხოვრებისა. ველით მოუთმენლად მის წიგნს.

B,

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სიკვდილით დასჯა.** 30 მაისს, დილის ოთხ საათზე სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი ბესარიონ ცინცაძეს.

✦ **უადგილო მუშები.** ტფილისში დღეს დიდძალი უადგილო მუშაა. მათი რიცხვი, თუ ყველა დარგს ავიღებთ, თითქმის ათი-ათასამდე ადის. ეს ამოდენა ხალხი, მოკლებული ცხოვრების სა სარს, ითმენს ათასგვარ გაჭირვებას. დილით-საღამომდე დადიან, ეძებენ ადგილს, მაგრამ ყველგან ერთი და იგივე უარი ესმით. ბევრი ამათში საუცხოვო ხელოსანია, მაგრამ თავიანთ ძალ ღონისა და ცოდნისთვის გასავალი ვერ უშოვნიათ. მათი დამხმარე არავინ არის. ტფილისში არავითარი დაწესებულება არ არის, რომელიც უადგილოდ დარჩენილ მუშებს რითიმე მაინც უწევდეს დახმარებას.

✦ **სემინარიის ძველი შენობა.** ამ დღეებში ეკსარხოსის მოადგილეს უწმ. სინოდის ბრძანება მოუვიდა, რომ სემინარიის ძველი შენობა პუშკინის ქუჩაზე სამღვდელოებას გადაეცით, ასე რომ სემინარია მომავალ სექტემბრიდან უნდა გადავიდეს ახალ შენობაში ვაკეზე. როგორც წინადაც ვწერდით, სასულიერო მთავრობამ 400,000 მანეთამდე დახარჯა ახალ შენობაზე და ამ შენობაში სამღვდელოებას ძველ შენობასა სთხოვდა. სამღვდელოებამ უარი სთქვა ამაზე. ეხლა ძველი შენობა ქართველ სამღვდელოებას გადასცეს, მაგრამ ამასთან დაავალეს იმ ფულის გადახდა, რომელიც ახალ შენობაზე დაიხარჯა. სინოდი სწერს, საქართველოს სამღვდელოებამ დააგირაოს პუშკინის ქუჩაზე სახლი და ყოველწლიურად ანაღდოს ახალ შენობაზე დახარჯული თანხა, ან-და თუ სამღვდელოება გაჰყიდ-ს თავის შენობას, აღებულ ფულით ახალ შენობის ვალი გაისტუმროსო. ტფილისის სასულიერო სემინარიის საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, ეხლავ შეუდგეს მზადებას სემინარიის ახალ შენობაში გადასატანად.

✦ **კატორგა.** შარშან გორის მაზრის სოფელ ძევერაში ვიღაცები თავს დასცემიან სანო და მარიამ ჯავახიშვილის (სანო ჯავახიშვილი და იმასთან ერთად სხვები ამ ორი-სამი კვირის წინად მოჰკლეს ვიღაც ბოროტგანმზრახველებმა) სახლს და გაუუპატიურებიათ მარიამ ჯავახიშვილი. ამის გამო მაშინ შეუპყრიათ ლავრენტი და გაბრიელ ჯავახიშვილნი, გიორგი ბუხრიძე, იასონ ლომიძე, მ. კეფაშვილი, ს. მამინაიშვილი და დაფქვიაშვილი. ამათი საქმე სამოსამართლო პალატამ გაარჩია 28 მაისს და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დაფქვიაშვილი გამართლებულია, ხოლო სხვებს რვა-რვა წლით კატორგა აქვთ გადაწყვეტილი. („ზ.")

✦ **სწავლა დამთავრებულნი.** ხარკოვიდან გვწერენ: 21 მაისს დამთავრდა სახელმწიფო ეგზამენები ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ კომისიაში. იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა გაათავეს შემდეგმა ქართველებმა: შ. ალექსი-მესხიშვილმა, გ. მაღნარაძემ, კ. ჯაფარიძემ, გ. შალიბაშვილმა, გ. გიორგაძემ და გ. გორდეზიანმა.

✦ **ელექტრონის გზა ტფილისიდან კავკავამდე.** ტფილისში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს საკითხი ტფილისიდან კავკავამდე კავკასიონის მთაზე ელექტრონის გზის გაყვანის შესახებ („კ.")

✦ **თავად-აზნაურთა კრება.** დღეისთვის დანიშნულია ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების გაგრძელება. კრება მოხდება ქართულ თეატრში და დაიწყება დილის 10 ს.

✦ **ეგზამენები.** ტფ. სასულიერო სემინარიაში ეგზამენები უკვე დასრულდა. წელს სემინარია დაასრულა მხოლოდ 15 კაცმა, აქედან ათამდე ქართველია,

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა მოხდება ხვალ 1 ივნისს.

✦ **ტფილისის პოლიციის გაძლიერება.** სახელმწიფო სათათბირომ 29 მაისის სხდომაზე მიიღო კანონპროექტი ტფილისში პოლიციის შტატების გაძლიერების შესახებ.

✦ **უპასპორტოები.** 29 მაისს, პირველ საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს ათი უპასპორტო კაცი, ხოლო მე-8 ნაწილში 2 კაცი.

✦ **განყოფილება.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ საგუბერნიო ადმინისტრაციას აცნობა, რომ თელავში საზოგადოებამ დააარსა განყოფილება, რომელიც ახლო მომავალში კიდეც დაიწყებს მოქმედებასაო.

✦ **სამკითხველოს სასარგებლოდ.** როგორც მკითხველებმა იციან, ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. წერა-კითხვის საზოგად. მთავარმა გამგეობამ დაადგინა, თავისი გამოცემები შესწიროს ამ ბიბლიოთეკას.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოების კრება.** დღეს, 31 მაისს, საღამოს 7 საათისთვის ტფილ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოებისა.

✦ **საზაფხულო თეატრის გახსნა.** დღეს სათავად-აზნაურო ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა. გაიხსნება საზაფხულო თეატრი. წარმოდგენა გაიმართება ორივ მხრივ. საზოგადოება ისხდება საზაფხულო და საზამთრო თეატრებში. იქნება სხვა და სხვა სხვა გასართობი,

✦ **სასამართლოში.** გორიდან გვწერენ: 27 მაისს გორში, ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე მამასახლისად ნამყოფის აბაზაძისა. აბაზაძეს ჰბრალდებოდა 1906 წელს, შიგ შუა ზამთარში, იანვარში ხალხის წყალში ჩაყენება დასასჯელად. მაშინ გაზეთებიც-კი სწერდნენ, რა უზომო ტანჯვას აყენებდნენ ხალხს მთავრობის ზოგიერთი მამასახლისები წყალში ჩაყენებით. სასამართლომ დამნაშავედ იცნო აბაზაძე და მიუსაჯა $1^1/_2$ წლით გამასწორებელი რაზმი. ამავე დღეს სასამართლომ გაარჩია შოშიაშვილის მოკვლის საქმე. შოშიაშვილი, როგორც ვიცით, შარშან აგვისტოში მოჰკლეს ქ. გორში თავის სახლის კარების წინ. მისმა ქვრივმა ხელი დაადო თავის ნათლულს გორიჯვრელს ილიკო თამარაშვილს. იგი მეორე დღესვე დააპატიმრეს. ქვრივი ამბობდა, ჩემ ქმარს წერილი მოუვიდა, სადაც სიკვდილს ემუქრებოდნენოო. სასამართლოში ქვრივმა ვერ წარადგინა ამისი დამამტკიცებელი საბუთები. როგორც გამოირკვა, თამარაშვილი ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული ყოფილა ჩრდილოეთში და ამ მკვლელობის ორი თუ სამი თვის წინად გამოპარულ იქიდან. ამაზე ემყარებოდა ქვრივი, უსათუოდ ჩემი ქმრის მოსაკლავად ჩამოვიდაო. მოწმეებმა ერთხმად დაამტკიცეს, რომ თამარაშვილი იმ დროს ს. სკრაში ყოფილა. ბრალდებულს იცავდა ვექილი ელიავა. სასამართლომ თამარაშვილი გაამართლა.

✦ **რკინის გზა ოსმალეთის საზღვრისაკენ.** უკვე ვწერდით, რომ რუსის მთავრობას აზრადა აქვს ყარსიდან ოსმალეთის საზღვრამდე რკინის გზა გაიყვანოს. ამ გზის გაყვანას ძალიან აჩქარებენ. „ბაკუს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „გზათა მინისტრის ამხანაგმა დურნოვომ წინადადება მისცა ამიერკავ. რკინის გზის უფროს გენ. ნეგებაუერს გამოიკვლიოს ორი ახალი რკინის გზა: ერთი-ყარსიდან ოსმალეთის საზღვარამდე, ხოლო მეორე —ბორჯომიდან ალექსანდრო პოლამდე. უნდა გამოკვლეულ იქნას აგრეთვე ეკონომიურის მხრივ ის გზა, რომელიც განზრახულია კავკასიონის მთაზე ტფილისიდან კავკავამდე. ყველა ამ საქმის ხელმძღვანელად ნიშნავენ ინჟინერს რაციბორსკის. დურნოვო თხოულობს აცნობონ, ნამესტნიკი წინააღმდეგი ხომ არ იქნება ამისაო... განზრახულია, ექსპედიცია ეხლავე მოაწყონ.

✦ **ამინდი.** ეს სამი დღეა ტფილისში წვიმიანი ამინდები დაიჭირა. ხუთშაბათს, 27 მაისს, ერთბაშად მოიღრუბლა და წამოვიდა კოკისპირული წვიმა. ორი თვის გვალვის შემდეგ ეს პირველი წვიმა იყო. როგორც გვატყობინებენ, 28 მაისს კიდევ გორში და სოფლებში მოსულა წვიმა. სამწუხაროდ, ყანები უკვე გადახმა და ეხლანდელი წვიმა ბარად ბევრს ვეღარას უშველის.

✦ **სამკითხველო ქვემო ჭალაში.** წერა-კითხვის საზ. მთავარმა გამგეობამ დაადგინა, დააარსოს ბიბლიოთეკა-სამკითხველო გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში. სამკითხველოს შესანახ ხარჯს ჰკისრულობს სოფლის საზოგადოება. დაადგინა აგრეთვე სოფლის სკოლის (ჭავჭავაძის ქუჩაზე) გამგეს გაუგზავნოს 11 „ვეფხის ტყაოსანი", რომელიც დაურიგდება ამ სკოლის საუკეთესო მოსწავლეებს,

✦ **სამი ბავშვის მოკვლა.** ქუთაისის მაზრის სოფ. ბაკისუბნიდან გვწერენ: „27 მაისს აქ საშინელი მკვლელობა მოხდა. საღამოს 3 საათზე გლეხი ისიდორე სალდაძე შესულა თავის ძმის, ალექსის სახლში, სადაც დაჰხვედრიან პატარა ბავშვები (ძმისწულები), ერთი ხუთი წლისა, მეორე—3 წლისა (ვაჟები) და მესამე—5 თვის ქალი. ვაჟები იატაკზე მსხდარან და საჭმელსა სჭამდენ. ქალი კი ლოგინში ყოფილა. მათი დედა რაღაც საქმისათვის გასულიყო ოთახიდან, და არც მამა ყოფილა შინ. იქვე ოთახის კუთხეში მიყუდებული ყოფილა წალდი. ისიდორე სალდაძეს წაუვლია ხელი წალდისთვის და სამივე ბავშვი დაუჩეხია და მერე გაქცეულა. იგი დაიჭირეს რიონში იმავე ღამეს. თურმე თითონვე იძახდა: „ძმის შვილები დავხოცე"-ო. ისიდორე ჭკუაზე შეშლილი აღმოჩნდა.

✦ **სეირნობა ლატარია-ალეგრით.** გავახსენებთ მკითხველებს, რომ დღეს მუშტაიდში გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით. შემოსავალი დანიშნულია ქართველ ქალთა სახელოსნო-სკოლის სასარგებლოდ. ლატარიაში ჩაგდებული იქნება ხელ-საქმე მოსწავლეთა და სხვა ნივთები. ზოგი ნივთი ძვირფასია. იმას, ვინც სეირნობაზე შესასვლელ ბილეთს იყიდის, პროჟექტორში მუქთად შეუძლიან შესვლა.

✦ 29 მაისს დააპატიმრეს აზნაური ალექსანდრე ავალიანი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან იყო გაძევებული და თავის ნებით დაბრუნებულა.

✦ 29 მაისს, დღის $11^1/_2$ საათზე „კაფე-პარიჟის" მოსამსახურეს, 15 წლის ბავშვს, უცაბედად სამოვარი წაექცა და ადუღებული წყლით მთელი ტანი დაეწვა. ბავშვი საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 29 მაისს, ღამის $11^1/_2$ საათზე, პოლიციის მე-5 ნაწილში, სოლომონოვის ქუჩაზე, ფოთის მოქალაქის მაკარ მიკირტიჩიანცის ბინაზე პოლიციამ აღმოაჩინა რევოლვერი თავის პატრონებით. მიკირტიჩიანცი დააპატიმრეს.

✦ 29 მაისს, დილის $5^1/_2$ საათზე, ჭავჭავაძის ქუჩაზე არხის გაყვანის დრო, მიწა ჩამოწვა და ქვეშ მოიყოლა მუშა გასპარ მიკირტიჩევი. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ ტფილისის ახალ კლუბის დამფუძნებელთა კრება დანიშნულია თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში 2 ივნისს საღამოს 7 საათისათვის. კრებას შეუძლიანთ დაესწრონ გარეშენიც, ვისაც სურვილი აქვს კლუბის წევრად ჩაწერისა.

# სასიხარულო ამბავი

როგორ იშვიათად შეჰხვდებით ჟურნალ-გაზეთებში რაიმე სასიხარულო, სასიამოვნო ამბავს! პრესსა თვითეულს თავის სტრიქონით თითქო იმას მოწმობს, რომ ეს დედამიწა საავადმყოფოა და ჯან-საღი, სულითა და ხორცით მრთელი ადამიანი ამ ქვეყნად არ არსებული მოვლენააო. ქურდობა, მკვლელობა, ჩხრეკა, დატუსაღება, ყოველნაირი უბედობა და გაჭირვება საცოდავად გამოიცქირება პრესსის თვითეულ კუნჭულიდან და ისედაც გულ-მოკლულ მკითხველს კიდევ უფრო გულს უწყლებს და სჩაგრავს.

საინტერესო იქნებოდა ისეთ ორგანოს დაარსება, რომელიც თავის საგნად დაისახავდა ცხოვრებაში ყოველნაირ სასიამოვნო მოვლენათა აღნიშვნას და გამოქვეყნებას.

როცა ადამიანთა საზოგადოებას თვალს მოავლებ, უნებურად ფიქრი გებადება, რომ ურთიერთის დახმარების გარეშე კაცობრიობის ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. ვთქვათ, გაიჩერეთ ქუჩაში ვინმე უცნობი კაცი და გამოჰკითხეთ თავგადასავალი ბავშვობიდან დაწყებული დღევანდლამდე. თუ იგი სიმართლის მოყვარულია, უეჭველად უნდა აღიაროს, რომ სხვების, თავის მზგავსთა, დაუხმარებლად დაიღუპებოდა, ვერაფერს ვერ მიაღწევდა ამ წუთისოფელში. უეჭველად ვინმემ აღზარდა, გამოჰკვება, რაიმე ხელობა ასწავლა, ცოდნა შესძინა და გზაზე დააყენა იგი. ცხოვრება რომ მარტო ბრძოლა იყოს, როგორც ამას უკიდურესი მატერიალისტები ამტკიცებენ, ადამიანები ხომ ერთმანეთს ძირს მოუთხრიდნენ, იმ საარაკო მგლების მსგავსად, რომელთაც ერთმანერთი დასჭამეს და მხოლოდ კუდები და დარჩათ.

დახმარება, ხელის შეწყობა და ძმობა ავიწყდება ადამიანს, როგორც ავიწყდება საღად ყოფნა, ჰაერით სუნთქვა, საკვებით კვება, საზოგადოდ თავისი სულიერი და ხორციელი კეთილდღეობა. ყველა ეს ჩვეულებრივ, ნორმალურ მოვლენად მიაჩნია. ავადმყოფობა, სულისა და სხეულის მოქმედების დაბრკოლება კი კარგად ახსოვს თვითეულ ჩვენგანს. როგორც არა ჩვეულებრივი, ცხოვრების შემაფერხებელი მოვლენა ამგვარადვე ჩვენ კერძო ცხოვრებაში სხვებისაგან დახმარება გვავიწყდება, მტრობა, ბრძოლა-ქიშპობა კი კარგად გვახსოვს.

ურთიერთ დახმარების სურათები, კაცთა შორის ძმობის მაგალითები, იმიტომაა საგულისხმიერო და ღრმასაინტერესო, რომ უიმედობას, გულის სიჩლუნგეს ებრძვის, იმედს ჰკვებავს, მხნეობას ულვიძებს ადამიანს, უმკლავდება იმ შავ-ბნელ მიმართულებას, იმ სასოწარკვეთილ პესსიმიზს, რომლის წყარო სულიერი უძრაობაა.

ერთი სასიხარულო ამბავი მეც უნდა მოუთხრო მკითხველებს და მით ცოტა მაინც გული გაუკეთო.

ამას წინად ქალაქს გარედ სოფლად გავემგზავრე ერთ ჩემ ნაცნობ მუშა კაცთან ერთად, რომელსაც, გავეცანი თუ არა. ბავშვების უანგარო, გულ-წრფელი სიყვარული შევატყე. ცოდნის მწყურვალე, სიღარიბის გამო კი ვრცელი განათლება მიუღებელი, სწუხდა, რომ იმის ღარიბ მეზობლების ბავშვები უვიცობაში იზრდებოდნენ. მუშა კაცი, დილიდან საღამომდის ქარხანაში მომუშავე, საღამოობით ბავშვების სწავლებას შეუდგა და ამ ჟამად სცდილობს მათთვის სკოლა დააარსოს. მხნე, სიყვარულით მომქმედი, იგი ყოველნაირად სცდილობს თავისი სანატრელი საქმე მოაწყოს და ჩვენც, თავის ნაცნობებს, მხნეობას და დახმარების სურვილს გვღვიძებს. გადავწყვიტეთ იმის მოწაფე ბავშვების ნახვა და სოფლისაკენ გაუდექით.

მივაღწიეთ თუ არა ჩვენის მეგობრის პაწია სახლს, დავინახეთ პატარა სოფლელ ბავშვების ჯგუფი, რომელიც უკვე უცდიდა თავის მეგობარს, სიყვარულით მიესალმნენ და მალე აქეთ-იქით გაიფანტნენ თავის ამხანაგებისათვის სასიხარულო ამბავის გადასაცემად. აქეთ-იქით ორღობეებიდან მალე გამოჩნდნენ სხვა და სხვა ხნის ბავშვები და მალე სქელ ალყად გარს შემოგვერტყნენ სახლის აივანზე. სულ პაწიები მუხლებზე აუცოცდნენ თავის ძვირფას მასწავლებელს, ძია შაქროს, და ტკბილი ტიკტიკი დაუწყეს. შაქრომ გამოჰკითხა ბავშვებს ამბავი და სთხოვა მის მიერ ნასწავლი ლექსები ზეპირად წარმოეთქვათ. რიგ რიგად, თავისუფლად და ხალისიანად აასრულეს ბავშვებმა შაქროს თხოვნა. სულ განსხვავებული, უჩვეო სურათი გადაგვეშალა თვალ წინ —ახალი, თავისუფალი სკოლა, სადაც მასწავლებელსა და მოწაფეს შორის არა მშრალი უსიცოცხლო ვალდებულების, არამედ თავისუფალ სიყვარულის ძაფი ... [illegible] ... ჯერ დასწავლილი ... ჩვენგან სახელმწიფო სკოლებში ბავშვებს მიერ ლექსებს თქმას მასწავლებლის მოთხოვნით, მაგრამ იმ ლექსებს სულ სხვა, უსიცოცხლო ელფერი ჰქონდა, როგორც მზის შუქის გარეშე, ბნელ ადგილზე ამოსულ მცენარეს. აქ ჩვენ თვალ წინ ბავშვების საგულისხმიერო ტიკტიკი კი ძია შაქროს სიყვარულით გაშუქებული, ცხოვრების წყლით მოპკურებული იყო.

ნათლად ვიგრძენ, თუ რანაირად, რა გზით ეწვეთება ადამიანს სულსა და გულში ნამდვილი ცოდნა. ამისათვის საჭიროა მსმენელსა და გამგონის, მასწავლებელსა და მოწაფის შორის თავისუფალი კავშირი, როგორც საჭიროა თავისუფალი, უანგარო ცნობის მოყვარეობა ღვიოდეს იმ ადამიანის გულში, რომელიც რაიმე ჭეშმარიტებას იკვლევს და ეძიებს. თავისუფლად არჩეული საგანი სავსებით იზიდავს ადამიანის სულსა და გულსა, არავინ ძალას არ ატანს მას ამ საგნის შესასწავლად, და მაშინ იბადება ადამიანის გულში ის მხნედ მომქმედი ძალა, რომელიც მკვლევარს ჭეშმარიტების წყაროს თანდათან უახლოვებს.

ჩვენ თვალ წინ ასე ხალისიანად მოტიკტიკე ბავშვებიც, ჩემის-აზრით, ცხოვრების უდიდეს საგანს სწავლობდნენ ნება-ყოფლობით, ძალ-დაუტანებლად,—ძია შაქროს გულში მათთვის ცოცხლად მფეთქავ სიყვარულს და ის ლექსები და ამბები, რომელსაც ისინი ასე ბავშურ-გულუბრყვილოდ გადმოგვცემდნენ, ამ სიყვარულის მხოლოდ ფორმა, გარეგნული გამოცხადება იყო.

ბაასის დროს ძია შაქრო რაღაც საქმისათვის მეზობლისას გაიხმეს. ადგა თუ არა შაქრო და ჰისკრისაკენ გაემართა, ბავშვები, როგორც წიწილები მარჩენალ კრუხებს, მთელი გროვით უკან გამოედევნენ. ერთმა ბავშმა იმ სკამს ხელი წაავლო, რომელზედაც შაქრო იჯდა, და ამ სკამიანად, საცქერლად საამო გაჭირვებით, გამოედევნა თავის მასწავლებელს.

როგორ არა ჰგავს ეს სურათი იმ ჩვეულებრივ სურათებს, რომელთაც ჩვეულებრივ სკოლებში ვხედავთ, სადაც ბავშვები შეწუხებულის გულითა და სულით უცდიან გაკვეთილის დასასრულს, რათა აბეზარი და უხალისო მასწავლებელი თვალიდან მოშორდეს და მოწაფეები ტანჯვით სწავლებისაგან გაანთავისუფლოს.

არავინ დამწამოს ჩემგან ნახულ სურათის იდეალიზაცია. ტკბილად გაზვიადება. ამ ამბის სინამდვილის მოწამეა ჩემივე გული, სადაც ღრმად აღბეჭდილი სასიხარულო სურათი დღესაც ცოცხალ ფერადებით ღვივის.

ეს ამბავი იმგვარ მოვლენათა დარგს ეკუთვნის, რომელიც ადამიანს იმედსა და რწმენას უღვიძებს და სიცოცხლეს უმსუბუქებს.

**ილია ნაკაშიძე.**

# ოსმალეთი

**კრიტოსის საქმე.**

ენვერ-ბეის უთქვამს გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის თანამშრომლისთვის: თუ საბერძნეთის კრიტოსის ძალით შეერთებას შეეცდება, აუცილებლად ომი ასტყდება ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის. ოსმალეთის ჯარი სამაგალითო წესით სწრაფად გაჩნდება ათინას წინ, ისე როგორც სტამბოლის წინ გაჩნდა კონტრ-რევოლიუციის შემდეგო.

საბერძნეთის მთავრობა შეეკითხა ოსმალეთისას, როგორ მოიქცევით კრიტოსის საქმეშიო. ოსმალეთის მთავრობამ უპასუხა, თუ იქ რაიმე შევიწროებას მიაყენებენ მუსულმანებს, დაუყოვნებლივ ჯარს გავგზავნით კუნძულზეო.

სალონიკიდან იუწყებიან: კრიტოსის საქმის გამწვავების გამო ჯარში გაიწვიეს მესამე კორპუსის სათადარიგო ჯარისკაცები. რამდენიმე სამხედრო გემი წავიდა კრიტოსისკენ. მთელთან მთავარი ... დიზანციის გამოცხადებას.

**უთანხმოება ჩერნოგორიასთან.**

ოსმალეთის მთავრობა არა სთანხმდება ბერლინის ხელშეკრულობის მე-29 მუხლის შეცვლას იმნაირად, რომ ჩერნოგორიას ციხეების აშენების უფლება მიეცეს. ჰფიქრობენ, რომ ამის თაობაზე დიდი უთანხმოება მოხდებაო.

**აჯანყება კავაკის ციხეში.**

კავაკის ციხის ჯარი აღარ ემორჩილება მთავრობას. გენერალისიმუსმა მაჰმუდ-შევკეთ-ფაშამ მოლაპარაკება გამართა მეციხოვნე ჯარის უფროსთან იარაღის ჩაბარების შესახებ. ამ ჯარის აჯანყება მით უფრო საშიშია, რომ კავაკის ციხე მშვენივრადაა მომზადებული საბრძოლველად და იქაურ ოფიცრებს ერთი პირი აქვთ ჯარისკაცებთან.

**ცენზურის გაძლიერება.**

სამხედრო მთავრობამ სტამბოლში გააძლიერა ცენზურა. გაზეთების გამომცემლებს დაავალეს, აღარ დაბეჭდონ ისეთი ცნობები პროვინციიდან, რომლებიც აღელვებენ ხალხს.

**შევკეთ-ფაშა.**

„რ. უტრო“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი ეწვია გენერალისიმუს მაჰმუდ-შევკეთ-ფაშასთან და სხვა-დასხვა საქმეებზე უსაუბრნია მასთან. კორესპონდენტი სწერს:

„გენერალისიმუსი შევკეთ-ფაშა ტომით არაბია, ქალ. ბაღდადიდან; იგი თავისუფლად ლაპარაკობს ექვს ენაზე, მათ შორის ფრანგულსა და გერმანულზედ. გენერალმა მიმიღო თავის სადგომში, სადაც ჩემ გარდა, გენერლის სანახავად მოსულიყვნენ სამი ოსმალელი გენერალი, გერმანელ ბანკის დირექტორი და და ფრანგი ინჟინერი. ვკითხე: როდის აპირებთ სამხედრო წესების გაუქმებას სტამბოლში მეთქი. გენერალმა მიპასუხა:

— „მაგ კითხვაზე პასუხს მიცემა გამიძნელდება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევიან რეაქციონერები. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ დავითხოვთ ჩვენს პოლკებს, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ კონსტიტუცია სრულიად უზრუნველყოფილია რეაქციონერების განზრახვათაგან. დღემდე შინ დავითხოვეთ მარტო სათადარიგო ჯარისკაცები და ის თავისუფალი მეომრები, რომლებმაც ჩვენთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ძველის რეჟიმის დამარცხებაში“.

სიკვდილით დასჯაზე შევეკითხე. გენერალმა მიპასუხა:

— სიკვდილით დასჯა სამწუხაროდ აუცილებელია, ისე როგორც ოპერაცია დოსტაქარისთვის. მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია კონსტიტუციის უზრუნველყოფა და ამიტომ იგი იძულებულია ებრძოლოს იმ პირებს, რომლებიც მის წინააღმდეგ იბრძვიან.

— განაგრძობთ კიდევ სიკვდილის დასჯას?

— მაგაზე ვერას გეტყვით. ეს დამოკიდებულია სამხედრო სასამართლოებზე და იმ საბუთებზე, რომელიც ხელთ აქვთ ამ სასამართლოებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენი სამშობლო, ოსმალეთი, გავანთავისუფლოთ რეაქციონურ ხროვაგან და განახლებულ ქვეყანაში მშვიდობიანობა დავამყაროთ.

**კანონპროექტი სახელმწიფო მოხელეების შესახებ.**

ამ კანონპროექტის თანახმად ყველა სახელმწიფო მოხელე, მის ცოდნისა, ნიჭისა და პოლიტიკურ კეთილსაიმედოობის მიხედვით, განაწილებულ იქნება სამს ჯგუფად: პირველი ჯგუფი სამსახურში დარჩება, მეორე ჯგუფს სამსახურიდან დაითხოვენ, მხოლოდ თუ საჭირო იქნება, ხელახლად მიიღებენ სამსახურში. მესამე ჯგუფს სამუდამოდ დაითხოვენ და არა დროს აღარ მიიღებენ სამსახურში. მარტო სამინისტროებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში დასათხოვნად დანიშნულია 27,000 მოსამსახურე; რაც შეეხება დათხოვნილ დაბალ მოსამსახურეებს, მათი რიცხვი უფრო მეტი იქნება. მარტო სტამბოლის პოლიციაში დანიშნულია დასათხოვნად 850 დაბალი მოსამსახურე. კანონპროექტის თანახმად დათხოვნილ მოსამსახურეებს ერთდროული დახმარება უნდა მიეცეთ.

ირწმუნებიან, რომ ოსმალეთის მთავრობა აღარ დაუცდის კუნძულ კრიტოსიდან ევროპიულ ჯარის გაყვანას და მალე ულტიმატუმს წარუდგენს საბერძნეთსაო.

საბერძნეთის მთავრობამ გადასწყვიტა, თესალიაში, ოსმალეთის საზღვარზე თავი მოუყაროს 50 ათას ჯარისკაცს. ფლოტსაც უბძანეს, ორი პატარა ესკადრა შეადგინოს იონიურ და ეგეის ზღვებში სამოქმედოდ. ოსმალეთიც ჯარს აგროვებს საბერძნეთის მოსაზღვრე ოლქებში.

ბოლოს დროს კრიტოსის მფარველ სახელმწიფოებს: რუსეთს, იტალიას, საფრანგეთს და ინგლისს ორი წინადადება წარუდგინეს: ან ქვეყნით ჯარის ნაცვლად გემები გაიგზავნოს კრიტოსის დასაცველად, ანა არა და მთელი ამ საკითხის გადაწყვეტა განუსაზღვრელ ვადით გადიდვას. ამას გარდა ინგლისმა წინადადება წარუდგინა, რომ საბერძნეთმა კრიტოსი შეისყიდოს ოსმალეთისაგანაო.

**ალბანია არ ემორჩილება ოსმალეთის მ თ ა ვ რ ო ბ ა ს.**

ოსმალეთის მთავრობამ მოსთხოვა ალბანელებს დაუყოვნებლივ იარაღის ჩაბარება, უკანასკნელ სამი წლის გადასახადების მიცემა და ახალ ჯარისკაცების (რეკრუტების) წარმოდგენა. ალბანიის მეთაურების კრებამ, ალბანელ არანჯელთ მონაწილეობით, უარჰყო ყველა ეს მოთხოვნა. ირწმუნებიან რომ არანჯელი ავსტრიის აგენტიაო.

**მორიგება აღმოსავლეთ რკინის გზების საზოგადოებასთან.**

სტამბოლიდან ცნობა მიიღეს ქალ. სოფიაში, რომ ოსმალეთის მთავრობა საბოლოოდ მორიგდა აღმოსავლეთ რკინის გზების საზოგადოებასთა. ბოლგარია ფორმალურად იცნობს გზის მესაკუთრედ და გაანთავისუფლებს ყველა მოვალეობისაგან გზის საზოგადოების წინაშე; მან მხოლოდ ერთ მილიონზე ცოტა მეტი უნდა გადაუხადოს საზოგადოებას გზის ინვენტარში და ამას გარდა უხდის სამი მილიონი იმაში, რომ იგი 22 სექტემბრიდან 6 მაისამდე სარგებლობდა გზის შემოსავლით. ასე რომ ოსმალეთ-ბოლგარიის უთანხმოება ამ საქმეზე ეხლა გათავებულად უნდა ჩაითვალოს.

**არეულობა ადანაში.**

ადანაში, იმ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის გამო, რომლებსაც მონაწილეობა მიეღოთ წინანდელ ხოცვა-ჟლეტაში, ხელახლად დაიწყო შეტაკება მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის.

**სომხის პატრიარქის ნათქვამი.**

სომხის პატრიარქს პეტერბურგში სხვათა შორის უთქვამს სომხის დეპუტაციისთვის, რომელიც მას ვაგზალში დაუხვდა: სომხები რუსეთში არ განიცდიან იმ საშინელებას, რომელსაც განიცდიან მათი დაზაგრული თანამოძმეები ოსმალეთშიო. („ზ.“)

# სპარსეთის ამბები

**ოსმალეთის ელჩის განცხადება.**

ოსმალეთის ელჩმა თეირანში განაცხადა, რომ ოსმალეთის ჯარი დაიჭერს ურმიას და ქერმან-ჰანის მიდამოებს და თუ სპარსეთის ქვეშევრდომნი დახმარებას სთხოვენ ოსმალეთის საელჩოს, მაშინ იგი მფარველობას გაუწევს სპარსელებსაო. (ზ.)

**გრეის განცხადება სპარსეთის საქმეებზე.**

ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ განაცხადა დეპუტატთა პალატაში: მართალია მე გავაცან რუსეთის მთავრობას ინგლისის პოლიტიკის მიმართულება სპარსეთის საქმეებში, მაგრამ არა დროს არა ვცდილვარ სპარსეთის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასო.

**მოლაპარაკება სპარსეთის საქმეებზე.**

თეირანში ცნობა მიიღეს, რომ თავრიზის ამბებმა გამოიწვიეს დიდი საერთაშორისო დიპლომატიური მოლაპარაკებაო. ოსმალეთისა, ინგლისისა და რუსეთის მთავრობებს ამ ჟამად გამწვავებული დიპლომატიური კამათი აქვთ გამართული სპარსეთის საქმეების თაობაზეო.

**შაჰის მთავრობამ განმარტება მოითხოვა:**

შაჰის მთავრობამ განმარტება მოსთხოვა რუსეთის ელჩს თავრიზში მომხდარ ამბების გამო. ელჩმა თავის მხრივ საჩქაროდ მოსთხოვა განმარტება თავრიზის კონსულს დაგენ. სნარსკის.

**მეშედის ენჯუმენის პროტესტი.**

ქალ. მეშედის ენჯუმენმა პროტესტი განაცხადა რუსეთის მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვა რუსის ჯარის გაყვანა თავრიზიდან. რევოლიუციონერები იმუქრებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელახლად ავისხავთ იარაღსაო.

მეშედში დიდი არეულობა მოხდა.

**არჩევნები.**

იუწყებიან, ვითომ მეჯლისის არჩევანს ამ ათიოდე დღეში შეუდგებიანო.

**რევოლიუციონერები თეირანში.**

„ბაქუ“-ს ატყობინებენ თეირანიდან: „კაზვინელი რევოლიუციონერები შემოვიდნენ თეირანში. მთავრობა ფულსა და ტანისამოსს აძლევს მათ. რევოლიუციონერები ცალკე რაზმებს აარსებენ თეირანში.“

# უცხოეთი

**სლავიანები და რუსეთი.**

როგორც უკვე ვიცით დეპეშებიდან, ავსტრიის პარლამენტში დეპუტატებმა მღვდლებმა კრამარჟმა და პოლონელმა სოციალ-დემოკრატმა დაშინსკიმ სიტყვები წარმოსთქვეს ავსტრიელ სლავიანთა და რუსეთს შორის განწყობილობის შესახებ.

კრამარჟი რომ სალაპარაკოდ გავიდა, პანგერმანისტებმა უყვირეს: „წადით პეტერბურგში, მოსკოვში“ და სხვ. კრამარჟმა სთქვა: „14 წლის განმავლობაში ვმეცადინეობდი როგორმე დამერწმუნებინა ავსტრიელი დიპლომატები, რომ საჭიროა ავსტრია განთავისუფლდეს იმ უღლიდან, რომელიც მას დაადგა გერმანიასთან კავშირმა, და რუსეთს დაუახლოვდეს. როცა შარშან პეტერბურგში ვიყავ, ხელი შევუწყე ამ დაახლოვებას, მაგრამ ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიამ მთლად შესცვალა პირობები. მოხდა ის, რისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ ინგლისს, საფრანგეთს და რუსეთს: მთელი გერმანელობა ჩრდილოეთ ზღვიდან ადრიატიკის ზღვამდე შეერთდა... გერმანელობის უღვლად ძლიერებას შუა ევროპაში ჩვენ, ავსტრიელმა სლავიანებმა, უნდა წინ დაუყენოთ სლავიანთა ერთობა... ავსტრიელ სლავიანებს სულაც არ უნდათ უცხო სახელმწიფოსთან კავშირი. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ სლავიანთა ერები გრძნობდნენ თავიანთ ნათესაობას და სლავიანთა ერების ასეთს იდეალურ ერთობაში ჩვენ ვპოვებთ ჩვენის მომავლის გარანტიასა და უზრუნველყოფას“.

სულ სხვა თვალით შეხედა საქმეს პოლონელმა სოციალ-დემოკრატმა დაშინსკიმ. მისი აზრით, ავსტრიელმა სლავიანებმა არ უნდა მოსთხოვონ დახმარება რუსეთს. დოქტორი კრამარჟი ჰგავს დონ-კიხოტს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დონ-კიხოტი ყველგან საფრთხეს ჰხედავდა, კრამარჟი-კი რუსეთში მოგზაურობს და ჰგონია, რომ იქ საშიში არაფერიაო... იგი არ ამბობს იმას, რაც უნდა თქვას ყოველმა პროგრესიულად მოაზრე ჩეხმა ან გერმანელმა, იგი ხმას არ იღებს იმ საშინელ ამბებზე, რომლებიც ხდება რუსეთში; იგი სხოლოდ იმას აცხადებს, რომ ყველა სლავიანები ძმები უნდა იყვნენ...

**გერმანიისა და რუსეთის იმპერატორების შეხვედრა.**

უცხოეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს გერმანიისა და რუსეთის იმპერატორების შეხვედრას.

ცნობილი პანგერმანისტი გრაფ ფეილი მეტად გაბედულადა და მკაცრადა სწერს ამ საგანზე გერმანელ გაზ. „ტეგლ. რუნდშაუ“-ში. გრაფის აზრით, გერმანიისთვის ეს შეხვედრა არც საჭიროა, არც სასარგებლო. გერმანიას არაფერი არ უნდა რუსეთისგან. მას მხოლოდ ის უნდა, რომ რუსეთის პრესამ „უკლოს თავის მტრულ კილოს“. გრაფი სწერს:

„ჩვენ როდი ვართ მადლობელი რუსეთისა, პირიქით რუსეთი უნდა იყოს ჩვენი მადლობელი არც თუ რისამე კმაყოფილება უნდა მივცეთ რუსეთს, რადგან, თუ მან ბალკანეთის უკანასკნელ კრიზისის დროს, გონივრულად ჩააგო თავისი ხმალი ქარქაშში, იგი თავის საკუთარ სურვილით მოიქცა ასე და არა ჩვენის ძალდატანებით“.

გრაფი ფეილი ფიქრობს, რომ გერმანიისთვის იქნება ის უფრო სასარგებლო ყოფილიყო, რომ ომი მომხდარიყო. გერმანიის მმართველ წრეებში ბევრი არ დაკმაყოფილდა იმით, რომ ბალკანეთის საქმე წარსულ გაზაფხულზე უომრად გადასწყდა, გერმანიის სამხედრო პარტია იმ აზრისაა, რომ გერმანიას ულაპარაკოდ უნდა დაეწყო რუსეთთან ომი, ეს უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვისო.

რასაკვირველია, მთელი გერმანია ასე როდი ფიქრობს, მაგრამ მეტად გავლენიანს წრეებს ჭკუაში მოსდით გრაფის აზრები.

# რუსეთი

**სახელმწიფო სათათბიროს 23 მაისის სხდომა.** სახელმწიფო სათათბიროში 23 მაისს აუწერელი ინციდენტი მოხდა. საქმე ამნაირად იყო: ამ დღეს თავმჯდომარეობდა ბარონი მეიენდორფი სათათბირო იხილავდა ერთი სარწმუნოებიდან მეორე სარწმუნოებაში გადასვლის შესახებ კანონ-პროექტს. სხვათა შორის ილაპარაკა ეპისკოპოსმა ევლოგიმ. მეიონდორფმა შენიშვნა მისცა ევლოგის, რაზედაც მემარცხენეებმა ტაში დაუკრეს თავმჯდომარეს. მემარჯვენეებმა ეს იწყინეს და დაიწყეს ყვირილი. მარკოვ მეორე, ზამისლოვსკი, ტიმოშკინი, ვიაზიგინი და სხვა მემარჯვენე დეპუტატები წარმოვარდნენ თავიანთ ადგილებიდან, დაიწყეს ყვირილი: დაიკარგე, სირცხვილია, გაეთრიე, „ინოროდეც“ და სხვა. მემარცხენეებმა ტაშის კვრას უმატეს. მემარჯვენეები ამან უფრო გააბრაზა. ვიაზიგინმა მიმართა თავმჯდომარეს: „დაიკარგე გერმანელო!“ მას ბანი მისცეს ზამისლოვსკიმ, შულგინმა, ტიმოშკინმა, მარკოვ მეორემ და სხვებმა. ტიმოშკინი და მემარჯვენეები იქამდის მივიდნენ, რომ დედის გინება დაუწყეს მეიენდორფს. მეიენდორფმა ბევრი იყვირა, ზარი რეკა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, მემარჯვენეები განაგრძობდნენ: რეგვენო, „ჟიდებს“ ფეხები ულოკე, უსინიდისო, რუსეთის პურით იკვებები და „ჟიდებს“ თავს არ ანებებთ და სხვა ამისთანეები. მალე ხომიაკოვიც ჩაერია, მაგრამ მას ყურადღება არავინ მიაქცია. ხომიაკოვის ახლო ვოლოდიმიროვს და გეგეჭკორს კინაღამ ჩხუბი მოუხდათ. ვოლოდიმიროვი ხელს იღებს, რომ გეგეჭკორს გაარტყას. გეგეჭკორი ამას ყურადღებას არ აქცევს. ჯიბეში ხელები ჩაუწყვია და ეუბნება: „დამარტყი პოგრომშჩიკო!“ (მე მეშინოდა არ გამერტყა, ამბობდა მერე გეგეჭკორი). მეიენდორფმა რაკი ვერაფერი გააწყო კრება დახურა. მიუხედავად ამისა მემარჯვენეები არ დაწყნარდნენ, მაშინ ხომიაკოვმა ბოქაულებს უბრძანა, რომ მათ მაყურებლებისა და ჟურნალისტებისთვის მოეთხოვნ თ სახლში წასულიყვნენ, რის შემდეგ სათათბიროში შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. (რეჩი). ამის შესახებ ცნობები ვადმოგვცა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომაც, მაგრამ როგორც ამისთანა შემთხვევებში მას ჩვეულებად აქვს, ძალიან შეამოკლა ეს ინციდენტი და სულ უბრალო ამბავი გადმოგვცა.

ტფილისის ქალაქის **გამგეობა**
ამით აუწყებს ყველას, რომ 1909 წლს პირველს ივნისს, ნაშუადღევს 12 საათზე, გამგეობის თანადასწრებით იქნება **მეჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის საურმე სასწორი მე-10 ნაწილში, მალაკნის ქუჩაზე და მეორე სასწორი მე-7 ნაწილში, კახეთის მოედანზე.
პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა 10-დან 2 საათამდე. (2—6.—2)

◀ **ძალიან იაფად** ▶
იყიდება საბურთალოზე, ახალ ეკლესიის გვერდით მიწა გაშენებულ ბაღჩით და ხეხილით. შემოვლებული ქვით 111 ოთხკუთხი საჟენი იყიდება 450 მანეთად. მალე ხიდიც გაკეთდება დიდუბიდან.
იკითხეთ იქვე ეკლესიის გალავანში **ი. მუსხელიშვილი.** 5—286—1)

**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაქებს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—65)

**ბორჯომ--აბასთუმანი**
ამით ეუწყა იმათ, ვინც აბასთუმანს მიდიან, რომ საფოსტო სადგურზე ბორჯომში არ ს მრავლად სხვა და სხვა ეტლი: 2, 3 და 4 ადგილიანი „კალიასკები“, ლანდო, 4 და 6 ადგილიანი დახურული ეტლები, 2 და 3 ადგილიანი კარეტები, აგრეთვე დიდი პლანგარდები ნივთებისთვის. ეტლების მიმოსვლა სწრაფი და შეუჩერებელი. ყოველ დღე დილ-დილობით გადის ვადიანი ომნიბუსები. ვინც ეტლს დეპეშით დაიკვეთავს, მას მატარებლის მისვლისათანავე აწვედრებენ ეტლს. დაწვრილებითი ცნობების გაგება 1 ივლისამდე ტფილისში, ბაქოს ქ., N 7. ზოლო ბორჯომში საფოსტო სადგურზე. (6—1000—2)

**გაფრთხილება**
**დ. ზ. სარაჯიშვილისა**
კ ა ნ ტ ო რ ა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.
ЗАВОДСКАЯ МАРКА
ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომლიც საშინლადა ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ ვ-ნნი მომხმარებელნი.
ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**
ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი“**, და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე“** (20—234—10)

**1 მანეთიდან** ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ **1 მანეთიდან**
● **ხელის მაშინები 25 მანეთიდან** ●
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ
THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK
**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (15—გაყ.—13)

**პროვოდნიკის**
1897 წ. 1908 წ. 1888
ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА
ФАБРИЧ. КЛЕЙМО Р. Т. Р. Ф. В. ПРОВОДНИКЪ РИГА
**ამხანაგობა**
**რ ი გ ა შ ი**
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● **იყიდება ნარდად და ცალობით:** ●
დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.
დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;
დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;
**რეზინის ლრუბელი;**
**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;
**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა**

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე